საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
სტუდენტური თვითმმართველობა

ქ. ბათუმი

22 თებერვალი 2024 წელი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №01

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 45-ე მუხლის, სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების 58-ე მუხლის, სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის დებულების მე-9 მუხლისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვადგენ:

1. გამოცხადდეს სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები და არჩევნების თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 22 მარტი.

2. სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტურ თვითმმართველობაში აირჩევა:

ა) სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტიდან 7 სტუდენტი (დელეგატი);

ბ) განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან 4 სტუდენტი (დელეგატი);

გ) მუსიკის ფაკულტეტიდან 4 სტუდენტი (დელეგატი).

3. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ბხსუ-ს საარჩევნო კომისიაში 2024 წლის 01 მარტიდან 2024 წლის 15 მარტის ჩათვლით 10:00 საათიდან – 17:00 საათამდე (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა) შემდეგ მისამართზე ქ. ბათუმი, ზ.გორგილაძის/ვაჟა-ფშაველას ქ.№19/32, ოთახი №103.

4. კანდიდატმა სარეგისტრაციოდ უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება (ივსება ადგილზე);

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ცნობა, რომ ის სწავლობს ბხსუ-ს იმ ფაკულტეტზე, რომელზეც იყრის კენჭს.

5. ბხსუ-ს ფაკულტეტების დეკანებს ეთხოვოთ ამომრჩეველთა სიების წარდგენა ბხსუ-ს საარჩევნო კომისიაში არაუგვიანეს 2024 წლის 15 მარტისა.

6. განკარგულება განთავსდეს ბხსუ-ს ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებზე და გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

7. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სტუდენტური თვითმმართველობის
პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი . გ.გორჯელაძე